აუქციონის პირობები

აუქციონის შინაარსი

1. აუქციონზე გამოტანილია ალუმინის ლითონის სხვადასხვა ტიპის ჯართი. მათი ნაწილი არის უვარგისი და განკომპლექტებული ტექნიკა-დანადგარები, ხოლო ნაწილი არის მეტალის სხვადასხვა სამშენებლო ნარჩენები.
2. მყიდველი ვალდებულია, ჯართი გამყიდველის ტერიტორიიდან გაიტანოს საკუთარი რესურსებით და ხარჯებით, მათ შორის - დაჭრა ადგილზე თუ ეს საჭიროა, დატვირთვა, გატანა და სხვ.
3. აუქციონი გამოცხადებულია პირობითად 1 (ერთ) ტონა ჯართზე. ანგარიშსწორება მოხდება რეალური წონის მიხედვით.
4. **ჯართის მყიდველს ეკისრება დამატებითი ვალდებულება:** ჯართის განთავსების ტერიტორიაზე (როგორც ღია ცის ქვეშ, ისე სათავსოებში, სადაც ჯართია დაწყობილი) არის ასევე სხვა ტიპის სამშენებლო და ტექნიკური ნარჩენებიც, როგორიცაა მაგალითად დამტვრეული გრანიტის ფილები, დამტვრეული ხის და პლასტიკის ავეჯი, პალეტებისა თუ ყუთების ნარჩენები და მისთ. ჯართის მყიდველი ვალდებულია, გაიტანოს ასევე ეს ნაგავიც თავისი რესურსებით და ხარჯით (მათ შორის, ამაში შედის მისი მოგროვება, დატვირთვა, ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელზე გადაყრის საფასური თუ ასეთი არსებობს და ა.შ.) მოცულობაზე ორიენტაციის შესაქმნელად, ეს არის დაახლოებით 10-მდე საშუალო ზომის სატვირთო მანქანის მოცულობის ნარჩენები.
5. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, აუქციონში გამარჯვებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში გააფორმოს გამყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის პროექტიც ერთვის აუქციონის დოკუმენტებს, აუქციონის პირობების ნაწილია და მასში შესაძლებელია მხოლოდ არაარსებითი ცვლილებების შეტანა.
6. ხელშეკრულების დადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მყიდველმა გამყიდველის საბანკო ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს საავანსო დეპოზიტი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება გამყიდველთან შეთანხმებით, გამყიდველის ტერიტორიიდან ერთ ჯერზე გასატანი ჯართის შესაძლო ოდენობის გათვალისწინებით. მყიდველი უფლებამოსილია დაიწყოს ჯართის გატანის პროცესი მხოლოდ დეპოზიტის გადახდის შემდეგ.
7. ჯართის გატანაც და დასუფთავების პროცესიც მყიდველმა უნდა დაასრულოს დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

ჯართის გატანა, ანგარიშსწორება

8. ანგარიშსწორებამდე და ჯართის მყიდველის საკუთრებაში გადასვლამდე, ჯართი უნდა აიწონოს და მყიდველი ვალდებულია, ფასი გადაიხადოს რეალური წონის შესაბამისად, აუქციონის შედეგად მიღებული ერთეულის ფასის (ერთი ტონის ფასის) შესაბამისად. არასრული ტონის ფასი მრგვალდება კილოგრამის სიზუსტით და ფასის გადახდაც ხდება შესაბამისი პროპორციით.
9. ჯართის აწონვა უნდა მოხდეს მყიდველის ტერიტორიიდან მისი ყოველი პარტიის გატანის დროს. ჯართის აწონვას საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს მყიდველი, გამყიდველის ტერიტორიაზევე ან მის გარეთ. სასწორი უნდა იყოს სათანადოდ კალიბრირებული / სერტიფიცირებული და გამყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტები. გამყიდველის წარმომადგენელი ესწრება აწონვას და უფლებამოსილია, მოახდინოს აწონვის პროცესის და მიღებული მაჩვენებლების ფოტო ან ვიდეო ფიქსაცია. თუ მყიდველი ვერ მოაწყობს სასწორს აეროპორტის ტერიტორიაზე, მაშინ გამყიდველის წარმომადგენელს უფლება აქვს გაყვეს ჯართის ყველა კონკრეტულ პარტიას აწონვის ადგილას.
10. აწონვისას დგება შესაბამისი აქტი, რომელშიც მიეთითება ჯართის წონა და ხელს აწერენ მხარეთა წარმომადგენლები. ამის შემდეგ მყიდველი იხდის შესაბამისი ოდენობის თანხას - ჯართის ამ პარტიის საფასურს. მყიდველის მიერ გადახდილი დეპოზიტი იქვითება ჯართის ბოლო პარტიის გატანისას. თუ დეპოზიტზე დარჩა რაიმე ზედმეტად გადახდილი თანხა, იგი მყიდველს უბრუნდება სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში.

სხვა ზოგადი პირობები და ვალდებულებები

11. მყიდველი ვალდებულია სამუშაო აწარმოოს უსაფრთხოების წესების დაცვით. ამაში იგულისხმება არამარტო ზოგადი შრომის უსაფრთხოება, არამედ აეროპორტის უსაფრთხოების სპეციფიური წესების დაცვა. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს იმას, რომ ჯართის ან ნაგვის დამუშავების ან ტრანსპორტირების დროს (და არამხოლოდ), დაუშვებელია ნებისმიერი სახის ნარჩენების (ნაფოტები, ნატეხები, სხვადასხვა მასალების ფრაგმენტები და მისთ.) მოხვედრა უშუალოდ აეროდრომზე ანდა მათი ისე მიტოვება სამუშაოს შემდეგ, რომ ეს მოხდეს ქარის შედეგად. ამ მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, მყიდველმა თავისი რესურსებით და ხარჯით უნდა უზრუნველყოს გამყიდველის ტერიტორიაზე თავისი სამუშაო არეალის დროებითი შემოღობვაც.
12. მყიდველის საქმიანობის დროს მისი წარმომადგენლების მიერ შრომის ან ზოგადად სხვა უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად დამდგარ ნებისმიერ შედეგზე (ნებისმიერი პირის კუთვნილი ქონების (მათ შორის, საჰაერო ხომალდის) დაზიანება, განადგურება, ცხოველის ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება თუ სხვა) პასუხისმგებელი არის მყიდველი. გამყიდველის წარმომადგენლები შეიძლება ესწრებოდნენ მყიდველის პერსონალის მუშაობას ტერიტორიაზე, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ პროცესის ზოგადი ზედამხედველობის, გასატან ქონებაზე და ნარჩენებზე მითითების და აეროპორტის სამუშაო სპეციფიკის შესახებ ინფორმირების მიზნით. ამგვარი დასწრება არ წარმოშობს გამყიდველის პასუხისმგებლობას უსაფრთხოების წესების დაცვაზე ანდა მყიდველის წარმომადგენლების მიერ მათი დარღვევის შედეგებზე.